ხელშეკრულება N 01/136
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. თბილისი

14 ნოემბერი 2011 წელი

ერთი მხრივ, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის ზვიად ხიდიშელის სახით და მეორე მხრივ, შპს „ბაზუკრები-95" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი მინდობილი პირის სერგო გეგეჭკორის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის/მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 CPV – 18530000 „საჩუქრები და ჯილდოები"

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის „საჩუქრები და ჯილდოების" (CPV 18530000) მიწოდება დანართი 1-ის მიხედვით.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 460.00 (ოთხას სამოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

მუხლი 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 20 დღის განმავლობაში.

4.4 მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და/ან სასაქონლო ზედნადების გამოუწერლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა.

მუხლი 5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და/ან სასაქონლო ზედნადებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში.

მუხლი 6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საქონლის მიწოდებადა განხორციელდება მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 7 დღის ვადაში.

მუხლი 7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს სათანადო ხარისხის საქონელი გარანტიით.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2 ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი ზურაბ მარკოზაშვილი.

მუხლი 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა

გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 15. განსაკუთრებული პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

15.2. ხელშეკრულეის ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი _ „შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1
საიდენტიფიკაციო კოდი 205 296 650
სახელმწიფო ხაზინა
კოდი 220101222
ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900
ტელ: 2143278

სამსახურის უფროსი ბ.ა.

ზვიად ხიდიშელი

მიმწოდებელი:

შპს „საჩუქრები-95"
მისამართი: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზირი #26
საიდენტიფიკაციო კოდი 203826654
ს/ს „საქართველოს ბანკი"
კოდი BAGAGE22
ანგარიშის № GE84BG0000000346237500
ელფოსტა: welcome@bog.ge
ტელ: 2998051,598579579

უფლებამოსილი პირი ბ.ა.

სერგო გეგეჭკორი

დანართი 1

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებელი	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)	
				ერთ.	სულ
1	საჩუქარი (ხანჯალი)	ხანჯალი დაფით, სუვენირის ჩანთით	4	115	460

460.00

----------	----------
საშსახურის უფროსი ბ.ა.	უფლებამოსილი პირი ბ.ა.
ზვიად ხიდიშელი	სერგო გეგეჭკორი

14.11.2011

ინტერესთა კონფლიქტი

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ 2011 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული N01/136 ხელშეკრულებაში, არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლით დადაგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

აღნიშნულს ვადასტურებ ხელისმოწერით:

სამსახურის უფროსი - ზვიად ხიდიშელი

სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე- გიორგი კილაძე

სამსახურის უფროსის მოადგილე -სიმონ ქიტიაშვილი

სამსახურის უფროსის მოადგილე-გელა გელაძე

საფინანსო სამმართველოს უფროსი-თამარ კუბიაშვილი

საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი-მაია მაისურაძე

საფინანსო სამმართველოს კოორდინატორი- ზურაბ მარკოზაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

06261033940211

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N110689012

რეგისტრაციის თარიღი

05.07.2011 წ

ნოტარიუსი: ოთარ ზოიძე
მისამართი: მარჯანიშვილის ქ. N21, IV სართული, 0102 ქ. თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 95-44-10

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი
სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების
შესახებ

ორი ათას თერთმეტი წლის ხუთ ივლისს მე, ოთარ ზოიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. #21, მე-4 სართული, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა ბატონმა **ზაურ ნოზაძემ** (დაბადებული 15.03.1942 წ. მცხოვრები მისამართზე: ხაშური, დემეტრე თავდადებულის ქ. #68, პირადი #57001007998).

მან განაცხადა, რომ:

ა) არის შპს „პრაიმ მარკეტის" (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 09/06/2011 წ. საიდენტიფიკაციო კოდი: 404900791, იურიდიული საქართველო, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობი, III მ/რ, სავაჭრო ცენტრი (ნაკვ.29/28), სართული 1) დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით;

ბ) როგორც შპს „პრაიმ მარკეტის" (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 09/06/2011 წ. საიდენტიფიკაციო კოდი: 404900791, იურიდიული საქართველო, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობი, III მ/რ, სავაჭრო ცენტრი (ნაკვ.29/28), სართული 1) დირექტორს, სურს, სპეციალური უფლებამოსილება მიანიჭოს **ჯაბა ნოზაძეს** (დაბადებული 01.02.1974 წ. მცხოვრები მისამართზე: ხაშური, დემეტრე თავდადებულის ქ. #68, პირადი #57001016740).

მარწმუნებელმა მოითხოვა **შესაბამისი სანოტარო** აქტის **შედგენა** და მისი მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემს მიერ.

მე, მოვამოწმე ზაურ ნოზაძის უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების **რეგისტრიდან შპს „პრაიმ მარკეტის" შესახებ** (ამონაწერის მომზადების თარიღი: 09/06/2011 17:51:59)

2) შპს „პრაიმ მარკეტის" წესდება (დამოწმებული 08.06.2011 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული **სააგენტოს ბიუროს** ბლანკი #287).

მარწმუნებლის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის **შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:**

„ზაურ ნოზაძემ (დაბადებული 15.03.1942 წ. მცხოვრები მისამართზე: ხაშური, დემეტრე თავდადებულის ქ. #68, პირადი #57001007998), როგორც **შპს „პრაიმ მარკეტის"** (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 09/06/2011 წ. საიდენტიფიკაციო კოდი: 404900791, იურიდიული საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რ აიონში, ნუცუბიძის ფერ დობი, III მ/რ, სავაჭრო ცენტრი (ნაკვ.29/28), სართული 1) დირექტორმა, **ჯაბა ნოზაძეს** (დაბადებული 01.02.1974 წ. მცხოვრები მისამართზე: ხაშური, დემეტრე თავდადებულის ქ. #68, პირადი #57001016740), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „რწმუნებული", მიანიჭა შპს „პრაიმ მარკეტის" (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 09/06/2011 წ. საიდენტიფიკაციო კოდი: 404900791, იურიდიული საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რ აიონში, ნუცუბიძის ფერ დობი, III მ/რ, სავაჭრო ცენტრი (ნაკვ.29/28), სართული 1) (რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „მარწმუნებელი") სპეციალური უფლებამოსილება შემდეგი შინაარსით:

1. რწმუნებული უფლებამოსილია, შეასრულოს შპს „პრაიმ მარკეტის" (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 09/06/2011 წ. საიდენტიფიკაციო კოდი: 404900791, იურიდიული საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რ აიონში, ნუცუბიძის ფერ დობი, III მ/რ, სავაჭრო ცენტრი (ნაკვ.29/28), სართული 1) დირექტორის სრული უფლებამოსილება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე (უმრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების დადებისა და საბანკო ანგარიშების გახნის/დახურვის, საბანკო ანგარიშების მართვა-განკარგვის, საგადასახადო უფლება-მოვალეობების განხორციელების, განბაჟების ოპერაციების შესრულებისა და სასამართლოში სრული წარმომადგენლობის უფლების (საქმის მორიგებით დასრულების, სასამართლოს ყველა აქტის გასაჩივრებისა და საქმის ზემდგომ ინსტანციაში საქმის წარმოების, სარჩელის აღიარების/ცნობის, სასარჩელო მოთხოვნის განსაზღვრის უფლებისა და ნებისმიერი საპროცესო უფლების) ჩათვლით).

2. მინიჭებული უფლებამოსილების განს ახორციელებლად და ამ უფლებამოსილების ფარგლებში რწმუნებული უფლებამოსილია, შეასრულოს ყველა ის უფლებამოსილება, რაც მინიჭებული აქვს მარწმუნებლის დირექტორს მარწმუნებლის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

3. რწმუნებული შეზღუდულია წინამდებარე აქტით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებით.

4. რწმუნებული ვალდებულია, წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს პირადად. ამასთანავე, რწმუნებულს აქვს უფლება, წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ცალკეული მოქმედებების შესასრულებლად დაიქირავოს ადვოკატი, ან სხვა სპეციალისტი და მათ მიანიჭოს შესაბამისი უფლებამოსილება.

5. რწმუნებული ვალდებულია:

ა) მარწმუნებელს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების შესახებ;

ბ) უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ მარწმუნებელს გონივრულ ვადაში ჩააბაროს სრული ანგარიში.

6. წინამდებარე აქტი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადის განმავლობაში და ძალმოსილია მის გაუქმებამდე. წინამდებარე აქტის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით.

7. რწმუნებული ვალდებულია უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე მარწმუნებელს დაუბრუნოს ყველა ის დოკუმენტი, რაც მუადგინა (მოიპოვა. მიიღო) წინამდებარე აქტის საფუძველზე.

8. წინამდებარე აქტი ძალმოსილებას იძენს სანოტარო წესით დამოწმებისთანავე."

აქტის ეგზემპლარები

წინამდებარე აქტი შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მარწმუნებელს.

დანართები:

1. წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის დანართი 2 დოკუმენტი:

1) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „პრაიმ მარკეტის" შესახებ (ამონაწერის მომზადების თარიღი 09.06.2011 17:51:59)

2) შპს „პრაიმ მარკეტის" წესდება (დამოწმებული 08.06.2011 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს მიერ, შტამპი #287).

სანოტარო მომსახურების ხარჯები (თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ კანონის (№1417 IIს 1998 წლის 11 ივნისი) 29-ე და 31(პრიმ) მუხლებისა):

ა) ნოტარიუსის საზღაური: 10.0 ლარი;

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2.0 ლარი.

მე, ნოტარიუსმა, მარწმუნებლის წარმომადგენელს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.